სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის

სხდომის ოქმი N2

30 ნოემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 30 ნოემბერს სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (მის. ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. N3) გაიმართა სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ:

- **დავით ლორთქიფანიძე** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი
- **ნიკა ახალბედაშვილი** - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (შემდგომში - მუზეუმთა ჯგუფი) დირექტორი
- **ნინო ჭიპაშვილი** - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დირექტორი
- **ნინო სალუქვაძე** - ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი
- **ირაკლი ღვალაძე** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორი
- **ანა თოლორაია** - მუზეუმთა ჯგუფის ადმინისტრაციის უფროსი
- **მაკა სოხაძე** - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის სპეციალისტი

განსახილველი საკითხები:

I. დირექტორატის სხდომის მდივნის დამტკიცება;

II. მუზეუმთა ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:
   - მუზეუმთა ჯგუფის შინაგანაწესის დამტკიცება;
   - მუზეუმთა ჯგუფის 2022 წლის საშტატო განრიგის დამტკიცება;
   - 2022 წლისთვის მუზეუმთა ჯგუფის შტატგარეშე ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული ოდენობის დამტკიცება.

III. გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:
   - მუზეუმის შინაგანაწესის დამტკიცება;
   - 2022 წლისთვის მუზეუმის შტატგარეშე ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული ოდენობის დამტკიცება.

IV. ქართული სპორტის მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:

- მუზეუმის შინაგანაწესის დამტკიცება;
- 2022 წლისთვის მუზეუმის თანამშრომლების დამატების საკითხი და მათი სახელფასო განაკვეთი;
- მოწვეული სპეციალისტების მოთხოვნის საკითხი;
- 2022 წლის სავარაუდო ბიუჯეტის საკითხი;
- მუზეუმის ინფრასტრუქტურის საკითხი.

მოისმინეს:

I საკითხი - დირექტორატის სხდომის მდივნის არჩევა

ნ. ახალბედაშვილმა დირექტორატის მდივნად დაასახელა გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის სპეციალისტის მაკა სოხაძის კანდიდატურა, რომელსაც დირექტორატის წევრებმა დაუჭირეს მხარი.

II საკითხი - მუზეუმთა ჯგუფის შინაგანაწესის დამტკიცება

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ ამ დრომდე მუზეუმთა ჯგუფში „დასაქმებულსა“ და „დამსაქმებელს“ შორის ურთიერთობები რეგულირდებოდა მხოლოდ „შრომის კოდექსის“ საფუძველზე და მუზეუმთა ჯგუფს არ ჰქონდა შინაგანაწესი.

ნ. ჭიპაშვილის აზრით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შინაგანაწესი იყო ზოგადი და არ იყო დეტალურად გაწერილი.

დ. ლორთქიფანიძემ მოითხოვა მუზეუმთა ჯგუფის შინაგანაწესსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის შინაგანაწესს შორის არსებული 2-3 განსხვავების დასახელება.

ნ. ახალბედაშვილმა განმარტა, რომ მუზეუმთა ჯგუფის შინაგანაწესი იყო უფრო განვრცობილი, ჩაშლილი და დეტალურად გაწერილი, სადაც არ რჩებოდა არცერთი ღია საკითხი მ.შ. დეტალურად გაწერილი მხარეთა უფლებამოვალეობები, სამსახურებრივი დოკუმენტაციის ახალი ფორმები, შვებულება და სხვა საკითხები). ამასთან, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი შინაგანაწესის პროექტი გადაგზავნილი იყო ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, ეროვნული გალერეის, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებთან, რომელთაც აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნიათ.

ნ. ჭიპაშვილმა განაცხადა რომ მის მიერ დასამტკიცებელი შინაგანაწესის პროექტი ასევე გაცნობილი იყო მუზეუმის თანამშრომლებისთვის.

ი. ღვალაძე დაინტერესდა, იყო თუ არა შინაგანაწესში გაწერილი კოვიდ ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებული, მ. შ. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე თანამშრომლების გადაყვანის საკითხი.

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ ყველასთვის სავალდებულო იყო კოვიდის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული ზოგადი რეგულაციების დაცვა.

ნ. ჭიპაშვილმა დასძინა, რომ ვინაიდან პერიოდულად შედიოდა ცვლილებები საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებში, მუზეუმის ხელმძღვანელობა რეაგირებდა ამ ცვლილებების შესაბამისად და ზედმიწევნით იცავდა მათ.

დ. ლორთქიფანიძე დაინტერესდა, რომ ვინაიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმი თავის საქმიანობაში ძირითადად ხელმძღვანელობდა 2 კანონით - საქართველოს კანონით „მუზეუმების შესახებ" და საქართველოს კანონით „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ", ახალ შინაგანაწესში იყო თუ არა გაწერილი რეგულაცია იმ პირთა განსხვავებული სამუშაო გრაფიკის თაობაზე, რომლებიც ეწეოდნენ სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას, რაზედაც **ნ. ახალბედაშვილის** მიერ განემარტა, რომ შინაგანაწესის პროექტის მიხედვით შესაძლებელია დირექტორთან შეთანხმებით დასაქმებულს მიეცეს ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკი.

მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან „მწვანე პასპორტების" შემოღებასთან დაკავშირებით, **ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ ეროვნულ გალერეასა და სიღნაღის მუზეუმში არსებობდა ტექნიკური საშუალებები, რომლის მიხედვითაც გაკონტროლდებოდა ვიზიტორთა სტატუსი. გასარკვევი რჩებოდა ეთნოგრაფიული მუზეუმის საკითხი.

ნ. ჭიპაშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმი მდებარეობდა ღია ცის ქვეშ, ვიზიტორები სტუმრობდნენ ექსპონატ-ნაგებობებსაც, ამიტომ საჭირო იყო მათი შემოწმება.

ი. ღვალაძემ დასძინა, რომ ჯერჯერობით არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი აღნიშნული რეგულაციების ამოქმედებისთვის, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი გადასცემდა ეთნოგრაფიულ მუზეუმს პლანშეტს, რომლის საშუალებითც მოხდებოდა ვიზიტორთა გაკონტროლება.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს მუზეუმთა ჯგუფის შინაგანაწესი წარმოდგენილი რედაქციით (იხ. დანართი). .

III საკითხი - მუზეუმთა ჯგუფის 2022 წლის საშტატო განრიგისა და 2022 წლის შტატგარეშე პოზიციებზე დასაქმებულ პირთა კვოტის დამტკიცება

ნ. ახალბედაშვილის ინფორმაციით, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულებაში შესული ცვლილების თანახმად, მიმდინარე წლის 5 დეკემბრამდე უნდა მოხდეს სამინისტროსთან 2022 წელს დასასაქმებელი შტატგარეშე ოდენობების შეთანხმება. მან აღნიშნა, რომ მუზეუმთა ჯგუფმა 2022 წლისთვის შეიმუშავა ახალი საშტატო განრიგი, რომლის მიხედვით მუზეუმთა ჯგუფის 175 საშტატო ერთეული მცირდება 146-მდე, ხოლო დღეისათვის არსებული ლიმიტი, რომელიც შეადგენს 35 შტატგარეშე ერთეულს, იზრდება 50-მდე. იგეგმება ტექნიკური პერსონალის (მაგ. დურგალი, მოლარე, ელექტრიკოსი და სხვა) გადაყვანა შტატგარეშე თანამშრომლებად, აგრეთვე, წლის განმავლობაში საჭიროებებიდან

გამომდინარე სხვადასხვა სამუშაოს განსახორციელებლად საჭირო იყო 7-8 შტატგარეშე ერთეულის არსებობა. ამასთან, ნ. ახალბედაშვილის განმარტებით, საშტატო ნუსხა ხდებოდა უფრო მოწესრიგებული, დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე იმავდროულად იქნებოდა ოქროს ფონდის კურატორი, რითიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით დადასტურდებოდა საგანძურისადმი მუზეუმთა ჯგუფის განსაკუთრებული დამოკიდებულება. უქმდებოდა საშტატო ნუსხით ამჟამად მოქმედი ზოგიერთი თანამდებობები ნაცვლად მუზეუმის ფონდებში არსებული 9 საფეხუროვანი თანამდებობრივი სისტემისა (ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, ასისტენტი, უფროსი ასისტენტი, სპეციალისტი, ასისტენტ - კურატორი, კურატორი, უფროსი კურატორი, მთავარი კურატორი) მუზეუმში დამტკიცდებოდა მოქნილი და ამავდროულად კარიერულ წინსვლაზე ორიენტირებული 4 საფეხუროვანი პოზიციები - ასისტენტი, უფროსი ასისტენტი, კურატორის მოადგილე და კურატორი.
მცირდებოდა თანამდებობების დასახელებები, ხდებოდა ფონდების შერწყმა და უფრო მოქნილი ხდებოდა მუზეუმთა ჯგუფის შიდა სტრუქტურა. მთლიანობაში არ იცვლებოდა სახელფასო ფონდი და გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსი მიემართებოდა თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს მოსამატებლად. ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ძალაში შევიდოდა 2022 წლის 15 იანვრიდან, ხოლო მანამდე განხორციელდებოდა მუზეუმთა ჯგუფის ორგანიზაციული ცვლილება.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ მისთვის მისაღები იყო მუზეუმთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება.

წარმოდგენილ საკითხებზე თანხმობა განაცხადეს დირექტორატის სხვა წევრებმაც.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს მუზეუმთა ჯგუფის 2022 წლის საშტატო განრიგი და 2022 წლის შტატგარეშე პოზიციებზე დასასაქმებელ პირთა ზღვრული ოდენობა

IV საკითხი - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის შინაგანაწესისა და 2022 წლისთვის მუზეუმის შტატგარეშე ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული ოდენობის დამტკიცება

ნ. ჭიპაშვილმა წარმოადგინა გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის შინაგანაწესი, რომელიც ამომწურავად მოიცავდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს. აგრეთვე, მისი ინფორმაციით, დღეისათვის მუზეუმში არსებობდა 13 შტატგარეშე მოსამსახურის შტატი, ხოლო მუზეუმის გამართული ფუნქციონირებისთვის 2022 წლისთვის საჭირო იყო 41 შტატგარეშე ერთეული და მოითხოვა მუზეუმის შტატგარეშე ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული ოდენობის გაზრდა 28 ერთეულით.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის შინაგანაწესი წარმოდგენილი რედაქციით (იხ. დანართი) და 2022 წლის შტატგარეშე პოზიციებზე დასასაქმებელ პირთა ზღვრული ოდენობა

IV საკითხი - ქართული სპორტის მუზეუმის შინაგანაწესის დამტკიცება, მუზეუმის თანამშრომელთა, მოწვეული სპეციალისტების დამატება და ინფრასტრუქტურა

ნ. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ სხვა მუზეუმებთან შედარებით, ქართული სპორტის მუზეუმი იყო არასახარბიელო მდგომარეობაში და ფაქტიურად, ნულიდან იწყებდა ფუნქციონირებას. მისი აზრით, მუზეუმი საჭიროებდა 10 შტატგარეშე ერთეულის დამატებას და ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ინფრასტრუქტურის საკითხი. მან განმარტა, რომ ამ დროის მანძილზე განიხილებოდა რამდენიმე ლოკაცია (მ. შ. კალათბურთის სასახლე, სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ აღმაშენებლის გამზირზე მოძიებული ფართი (ნახევარსარდაფი), მაგრამ ვერცერთმა ვერ დააკმაყოფილა მუზეუმის მოთხოვნები.

ნ. ახალბედაშვილმა მიმართა დირექტორატის წევრებს, რომ სსიპ საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა თავის თავზე უნდა აიღოს აღნიშნული საკითხის მოგვარება და დაევალოს ინფრასტრუქტურის სამსახურს საკითხის შესწავლა და ქალბატონი ნინო სალუქვაძეს დახმარება. სსიპ-მა უნდა შეისწავლოს არსებული რესურსი და ქართული სპორტის მუზეუმისთვის გამონახოს ფართი.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ეროვნული მუზეუმის ინფრასტრუქტურის სამსახურს შეუძლია მხოლოდ საპროექტო დავალების შედგენა, ხოლო ფართის გამოყოფა აღემატება მუზეუმის ინფრასტრუქტურის სამსახურის შესაძლებლობებს.

ნ. ახალბედაშვილმა ქართული სპორტის მუზეუმისთვის დირექტორატის წევრებს შესთავაზა რუსთაველის გამზირზე არსებული ფართის განხილვა, რომლის დათვალიერებაც ეროვნული მუზეუმის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად დაუყოვნებლივ გადაწყვიტა ქალბატონმა ნინო სალუქვაძემ.

ნ. ჯიპაშვილმა დააყენა საკითხი, რათა მაქსიმალური ძალისხმევის გამოჩენით საქართველოს ეროვნულ მუზეუმს მოეხდინა ქართული სპორტის მუზეუმის შენობასთან დაკავშირებული საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს სპორტის მუზეუმის შინაგანაწესი წარმოდგენილი რედაქციით (იხ. დანართი) და 2022 წლის შტატგარეშე პოზიციებზე დასასაქმებელ პირთა ზღვრული ოდენობა, ასევე, დაადგინეს, რომ სსიპ-ი იზრუნებს მუზეუმისათვის ცალკე ფართის გამონახვის საკითხზე

სხდომის მიმდინარეობისას, **დ. ლორთქიფანიძემ** დირექტორატის წევრებს მიმართა შეკითხვით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შემავალი მუზეუმების კოლექციების შიდა გადაადგილების შედეგად გატანილი ექსპონატების დაბრუნების ვალდებულების შესრულება, მაშინ როდესაც ზოგიერთი მუზეუმის ექსპოზიციაში მთლიანად სხვა მუზეუმის ექსპონატები იყო წარმოდგენილი (მაგალითად, სიღნაღის მუზეუმში, ებრაელთა მუზეუმში და სხვ.).

აღნიშნული შეკითხვის პასუხად, **ნ. ახალბედაშვილმა** განმარტა, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების თანახმად, კოლექციების

დაბრუნება უნდა უზრუნველყოს გენერალურმა დირექტორმა, ამიტომ აღნიშნული საკითხის რეგულაცია სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს.

სხდომაზე განხილულ იქნა მუზეუმების მიმდინარე საკითხებიც.

ნინო ჭიპაშვილის ინფორმაციით, ეთნოგრაფიულ მუზეუმში წლების მანძილზე თავი მოიყარა არასამუზეუმო დანიშნულების ნივთებმა, რომლებიც აღნიშნული მუზეუმის ტერიტორიაზე ხვდებოდა გაერთიანებაში შემავალი სხვადასხვა მუზეუმიდან. გაიხსენა ასევე, ფაქტი, როდესაც წლების წინ დიდი სატვირთო მანქანით მოხდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ხის ფონდის გამოუსადეგარი ნივთების ეთნოგრაფიულ მუზეუმში ტრანსპორტირება და მათი ექსპონატებად დარეგისტრირება. დღეისათვის აღნიშნული ექსპონატების იდენტიფიკაცია გართულებულია, ვინაიდან უმეტესობა მათგანი ძლიერ დაზიანებული და ჩამოსაწერია.

აგრეთვე, **ნ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა მუზეუმის ტერიტორიის გამოუსადეგარი ნივთებისგან გასუფთავება, რის თაობაზეც მისი მხრიდან ინფორმირებული იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფინანსური სამსახური. აღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებელია შესაბამისი ბუღალტრული და ფინანსური ღონისძიებების გატარება. **ნ. ჭიპაშვილმა** მიმართა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობას, რათა მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე განხორციელდეს ყველა საჭირო ქმედება, აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ნ. ჭიპაშვილმა დასძინა, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციის შემდეგ, გამოვლენილ იქნა მთელი რიგი უზუსტობები, რაც მოითხოვს მოწესრიგებას ფინანსური სამსახურის ჩართულობით. მისი ინფორმაციით, ფინანსური სამსახურის უფროსი ს. მიქაძე ინფორმირებულია და საჭიროა დროული რეაგირება.

ამასთან, **ნ. ჭიპაშვილმა** შეახსენა ი. ღვალაძეს გიორგიწმინდას ბანისთვის საჭირო თიხანარევი მიწის ტრანსპორტირების საკითხის შესახებ, ვინაიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხრიდან ჭიანურდებოდა ტრანსპორტირების საკითხის მოგვარება.

აგრეთვე, **ნ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმის მოიჯარეს რესტორან „რაჭის უბანს“ (შპს „მეიდან ჯგუფი“) მიეწოდება გაზმომარაგება და აბონენტადაა რეგისტრირებული მუზეუმის მთელ ტერიტორიაზე. მისი ინფორმაციით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა ვერ მოახერხეს იმ დოკუმენტის მოძიება, რომლის საფუძველზეც მოხდა აღნიშნული სუბიექტის აბონენტად დარეგისტრირება. ნ. ჭიპაშვილმა ი. ღვალაძისგან მოითხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაგზავნილ ოფიციალურ წერილზე პასუხის გაცემა, რაზედაც ი. ღვალაძემ უპასუხა, რომ ვერ იქნა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მოძიებული აღნიშნული წერილი, რასაც აცნობებს წერილობით.

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით აწყდებიან პრობლემებს, რის გამოც მომწოდებლები გამოთქვამენ უკმაყოფილებას.

დირექტორატის წევრები შეთანხმდნენ:

- დამტკიცდეს დირექტორატის სხდომის მდივნად მ. სოხაძის კანდიდატურა;
- დამტკიცდეს მუზეუმთა ჯგუფის, გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმისა და ქართული სპორტის მუზეუმის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი;
- დამტკიცდეს 2022 წლისთვის მუზეუმთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგი, რომელიც ძალაში შევა 2022 წლის 15 იანვრიდან;
- დამტკიცდეს მუზეუმთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის შტატგარეშე ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული ოდენობა - 50 ერთეული;
- დამტკიცდეს გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის შტატგარეშე ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული ოდენობა - 41 ერთეული;
- დამტკიცდეს ქართული სპორტის მუზეუმის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის შტატგარეშე ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული ოდენობა - 10 ერთეული;
- დაევალოს სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ქართული სპორტის მუზეუმისთვის საჭირო ცალკე ფართის მოძიება.

დირექტორატის წევრები:

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის

გენერალური დირექტორი — დავით ლორთქიფანიძე

მუზეუმთა ჯგუფის

დირექტორი — ნიკა ახალბედაშვილი

გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს

ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის

მუზეუმის დირექტორი — ნინო ჭიპაშვილი

ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი — ნინო სალუქვაძე

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის 2022 წლის
საშტატო განრიგი

სტრუქტურული ერთეული	საჯარო მოხელის თანამდებობა	საშტატო ერთეული	საწყისი დაბრიტული	სულ საწყისი
ხელმძღვანელობა	დირექტორი	1	1900	1900
	დირექტორის მოადგილე	1	1700	1700
	დირექტორის მოადგილე, ოქროს ფონდის კურატორი	1	2500	2500
ადმინისტრაცია	განყოფილების უფროსი	1	1600	1600
	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1	1300	1300
	ლოჯისტის სპეციალისტი	1	1100	1100
	მატერიალური მიმართულების სპეციალისტი	1	850	850
	იურისტი	1	1300	1300
	მარკეტინგის სპეციალისტი	1	1300	1300
	შესყიდვის სპეციალისტი	1	1300	1300
	ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	1	1300	1300
	საქმისწარმოების სპეციალისტი	1	900	900
	ფინანსისტი	1	1300	1300
	IT სპეციალისტი	1	1230	1230
სარესტავრაციო განყოფილება	განყოფილების უფროსი	1	1600	1600
	კონსერვატორი	20	800	16000
	ასისტენტ კონსერვატორი	1	700	700
	სპეციალისტი	1	700	700
საგამოფენო განყოფილება	განყოფილების უფროსი	1	1600	1600
	სივრცის მთავარი კურატორი	1	950	950
	ასისტენტი	3	700	2100
	უსაფრთხოების სპეციალისტი	1	1100	1100
	ზედამხედველი	20	550	11000
	ასისტენტი	1	700	700
	ექსპოზიციის სპეციალისტი	3	700	2100
სამეცნიერო საგანმანათლებლო განყოფილება	განყოფილების უფროსი	1	1600	1600
	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	2	850	1700
	მეცნიერ თანამშრომელი	6	800	4800
	სივრცის მთავარი კურატორი	1	950	950
	სივრცის უფროსი კურატორი	1	800	800
	ასისტენტი	2	700	1400
	რედაქტორი	1	700	700
	სივრცის კურატორი	2	700	1400
	გიდი-პედაგოგი	2	600	1200
დაცვა-ალრიცხვის განყოფილება	განყოფილების უფროსი	1	1600	1600
	მთ. ასისტენტი	3	700	2100
	კონსულტანტი	3	250	750
				0
ფონდები	კურატორი	7	900	6300
	კურატორის მოადგილე	11	750	8250
	ასისტენტი	6	700	4200
	უფროსი ასისტენტი	4	650	2600
საქართველოს ეროვნული გალერეა				0
ფონდები	კურატორის მოადგილე	6	750	4500
	ასისტენტი	5	700	3500
	უფროსი ასისტენტი	4	650	2600
	მთ. ასისტენტი	2	700	1400
სიღნაღის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი				0
	ადმინისტრატორი	1	1600	1600
	კურატორის მოადგილე	1	750	750
	ასისტენტი	2	700	1400
	კურატორი	1	900	900
	ზედამხედველი	2	550	1100
	გიდი-პედაგოგი	2	600	1200
		146	**50830**	**117430**